№ 271
პარასკევი, 14 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ფასი:

ვე	ან. კ.	თვე	მან. კ.
2.	10 —	6	6 —
1.	9 50	5	5 50
0.	8 75	4	4 75
9.	8 —	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1901

ივერია

№ 271
პარასკევი, 14 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 დეკემბერს ტფილისში გარდაიცვალა **ტფილისის დარიის მონასტრის წინამძღვარი**, უწმინდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრი,

არხიმანდრიტი კესარიოსი.

პანაშვიდები დღეში ორჯელ არის, 12 საათ. და 7 საათ. დასაფლავებულ იქმნება მონასტრის ტაძარში ამ თვის 15-ს. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ. (1—251—1)

„ივერია“

გამოვა 1902 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

დიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან-და-თანიბითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარე ება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ აძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი გილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავ- ოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს ზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკით- ელის მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოე- რობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს ლიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად ნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ და რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოზის ქ. № 21.

„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიიდგან,
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,
ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩა, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და პირ. **ტელეფონი** № 227.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ რადგანაც 9 დეკემბრისათვის დანიშნული კრება საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, დაინიშნა მეორე კრება კვირის, 16 დეკემბრისათვის. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში, დილის 11 საათზედ და კანონიერი იქმნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) 1901—1902 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

2) გამგეობის მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ და 3) არჩევნები გამგეობის წევრთა კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და საზოგადოების ახალ წევრებისა.

(2—უ—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—9).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—21)

ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

რგებლობა შაქრისა და მისი ქიმიურად მომზადება.

—

ვენის სხეულის მასაზრდოებელ ერებათ შეადგენენ, სხვათა რის, ნახშირ-წყლიანი ნივთიე ანი, რომელთა ჯგუფსაც ეკუ ის შაქარი.

ზოტიანი საჭმელი (ხორცი, კვერ- და სხ.) ლიბიხის სიტყვით, საკუთრებით უჯრედებისა და ლიან ქსელების განახლებასა და ნებასა ჰხმარდება, უაზოტო-კი, ლითად, ნახშირ-წყლიანი ნივ- რებანი (სახამებელი, შაქარი, ი და სხ.)—კუნთების მუშაო- , სუნთქვას და სითბოს.

შაქარი შესდგება ნახშირბადისა, ლბადისა და ჟავბადისაგან, როგ- თაგანაც ორის უკანასკნელის ოდენობა ისეთივეა, როგორც წყალში, H_2O შაქრის დანიშნულება სხეულში ის არის, რომ დაიწვას, ე. ი. შენასუნთქ ჰაერის მჟავბადს შეუერთდეს და ამითი სხეულს სითბო შესძინოს.

რა ცვლილებას გამოივლის ხოლმე შაქარი სხეულში, ამას მოკლედ მოგახსენებთ: პირში ნერწყვი ოდნავ გაჰხსნის ხოლმე. შემდეგ აქედგან კუჭში ჩადის და კუჭის წვენის გავლენის ქვეშ ყურძნის შაქრად, ანუ გლუკოზათ იქცევა, რომლის ერთს ნაწილს კიდევაც შეიწოვს ხოლმე ქსელი. აქედგან დანარჩენი, მომეტებული ნაწილი წვრილს ნაწლევებში გადადის, სადაც ნაწლევების წვენი და ლორწოიან გარსის უჯრედები უცბად ყურძნის შაქრად გარდაჰქმნიან ხოლმე. უკუ-მომქცევ (v. porta) ვენას გლუკოზა, ანუ ყურძნის შაქარი, აქედგან მერმე ღვიძლში მიაქვს, სადაც გლიკოგენის სახითა გროვდება.

ამ რიგად სახამებელი შაქრად (პირში), შაქარი შემდეგ გლიკოგენად (კუჭსა და ნაწლევებში) იქცევა და, რაც სისხლისათვის მოჭარბებულია, დრომდის ღვიძლში ინახება, რომ მუშაობის დროს, როცა-კი სხეულისათვის ეს საჭირო იქმნება, შემოელევა, ისევ შაქრად გარდაჰქმნას და სითბოს წარმოშობვას მოჰხმარდეს, რომელიც ყოველგვარ მეხანიკურ მუშაობისა და ფიზიოლოგიურ პროცესისათვის უთუოდ საჭიროა.

გამოკვლევით დამტკიცებულია, მაგალითად, რომ კუნთები მოსვენების დროს გაცილებით მეტს გლიკოგენს შეიცავენ, ვიდრე შეკუმშვისა და მუშაობის დროს; მაშასადამე, როგორცა სჩანს, შაქარი ერთი იმ ნივთიერებათაგანი ყოფილა, რომელიც მუშაობას, მოძრაობას ჰსჭირებია. უმთავრესი თვისება-კი შაქრისა ის არის, რომ სულ ადვილი მოსანელებელი და შეუძლიან სებელია: უცბად გლიკოგენად იქცევა ხოლმე და ინახება, რომ საჭიროების დროს სხეულმა ადვილად გამოიყენოს. მეორე დიდი თვისება შაქრისა კიდევ ის თურმე, როგორც მტკიცდება, რომ განსაკუთრებულს პირობებში შესძლებია ქონად იქცეს (ესაც შაქარივით უაზოტო ნახშირ-წყლიანი ნივთიერებაა) და ამ სახით იქმნეს სხეულში შავის დღისათვის შენახული: ცნობილია ის, რომ ორგანიზმის დამშევის დროს სხვა-და-სხვა ადგილას სხეულში შენახული ქონი ნელ-ნელა იხარჯება და სიცოცხლე სიკვდილს ისე ადვილად არ ემორჩილება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შეუძლიან შაქარს ბევრს შემთხვევაში ცილის მაგივრად თითონ დაიხვეწოს და სხეულს ეს დიდად სასარგებლო ნივთიერება, ცილა, შეუნახოს, გამოუზოგოს. გარდა ამისა, გემოდ სასიამოვნოა, საჭმლის მონელებას ხელს დიდად უწყობს, ადგილი მცირედი უჭირავს, დიდხანს შეუძლიან შენახვა და სხ. ამ რიგად სარგებლობა და მნიშვნელობა შაქრისა, რომლის ხმარებასაც ჩვენში ჯერ ისევ მსუნაგობისა და რაღაც დასაძრახ ნებიერობის ნაყოფად სთვლიან, თურმე ისრევე დიდი და მიუცილებელი საჭიროება ყოფილა, როგორც ხორცი, პური და სხ. ნოყიერი, მასაზრდოებელი ნივთიერებანი.

ფოიტისა და პლეიფერის გამოკვლევამ დაამტკიცა, მაგალითად, რომ მუშაობის დროს ადამიანს ნახშირ-წყლიანი საჭმელი (რომლის ჯგუფსაც შაქარი ეკუთვნის) გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე მოსვენების დროს. ამის ცოცხალს მაგალითს წარმოადგენენ იაპონელი შიკრიკები, მარბენალები: იმ დღეებში, როცა საქმე არა აქვთ, დიდძალს ხორცს გიახლებიან, რომ კუნთები გაიმაგრონ, ხოლო როცა მუშაობენ, ე. ი. გზად მიდიან,—ბრინჯს სჭამენ (უთუოდ ინსტიქტიურად) ბლომად (თითქმის მთლად სახამებლიან ნივთიერებათაგან შესდგება), რომ მეტი ამტანელობა და შრომა შესძლონ. პეტენკოფერის სიტყვით, მუშაობისათვის ცილიან საჭმლით კარგად განვითარებული კუნთები და შაქრით მდიდარი სისხლია საჭირო. ამასვე ამტკიცებს მოსსოს გამოკვლევა: შაქრის საკმარისად ხმარების დროს კუნთების ქსელი ნაკლებად ილევა და როცა ძლიერ დაღლილია ადამიანი, მეტი მუშაობა აღარ შეუძლიან, შაქრით მდიდარი საჭმელი ძალას უცბად გაუახლებს ხოლმე. Schu-

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ქ. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ზ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 სათ.

კვირაობით:

ზ. ზ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ და დარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გაიღოს „ქართვ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინოს. (სარედ.)

ახალი ამბავი

—

*** 17 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყებს მოქმედებას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს რუსეთის ნავთ-სადგურთა საქმეები და, სხვათა შორის, განხილვა სხვა-და-სხვა ნავთ-სადგურთა 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. როგორც შევიტყეთ ამიერ კავკასიიდგან ფოთისა და ბათუმის ქალაქების წარმომადგენლებად გაგზავნილნი არიან კომისიის სხდომებზედ დასასწრებლადა და თავ-თავის ქალაქების ინტერესების დასაცველად ფოთიდგან—ქალაქის მოურავი ნ. ი. ნიკოლაძე, ბათუმიდგან—გამგეობის წევრი გ. ი. ვოლსკი, რომლებიც უკვე წავიდნენ.

*** „კავკაზს“ ტელეგრამით აცნობებენ ერევნიდგან, რომ გუშინ წინ, დეკემბრის 12-ს, იქ რკინის გზის პირველი მატარებლით ჩაბრძანებულა მთავარ-მმართებელი თ-დი გ. ს. გოლიცინი. გუმბრში მთავარ-მმართებელს შეგებებია ყარსის გუბერნატორი, ქალაქის თავი გამგეობის წევრებითურთ და აურებელი ხალხი. იქვე მთავარ-მმართებელს დაუთვალიერებია საერობო დარაჯთა რაზმი. ერევანში თ-დს შემოგებებია ვიცე—გუბერნატორი თ-დი მ. ა. ნაკაშიძე, გარნიზონის უფროსი და სხვანი.

*** ქსნის ხეობიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ნავთის წყარო აღმოჩენილა. ადგილობრივ მემამულეებს მიუწვევიათ მცოდნე პირნი, რომელთაც დაუიმედებიათ მიწის პატრონები, რომ საიმედოა, აქ ნავთი საკმაო ბლომად იყოსო.

*** ს. ქვემო ჭალაში (გორის მაზრა) ყელჭირვება მძინვარებს და ბევრი ბავშვებიც უმსხვერპლია.

*** ს. იგუეთში (გორის მაზრა) ქვის ნახშირი აღმოჩენილა.

*** მომავალი წლის იანვრის 6-სათვის დილის 10 საათზე ქ. თელავში დანიშნულია საზოგადო კრება კახეთის მევენახეთა, რომელთაც დაარსებული აქვთ ღვინით მოვაჭრე საზოგადოება „კახეთი“. კრების განსახილველ საგნებია: წლიური ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1901/1902 წ., პროექტები ინსტრუქციებისა ღვინის შეფასებისათვის და ვენახების სეტყვისაგან დაზღვევისათვის; მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლაზე, საზოგადოებისათვის საჭირო მამულების ყიდვაზე, მორტირებით შებრძოლების მოწყობაზე, ღვინის გადასაზიდ ავტომობილების შეძენაზე, თელავის მთმხმარებელი საზოგადოების კომიტეტის წინადადება, მოხსენება შესახებ საზოგადოების წევრის ალ. წინამძღვრიშვილისაგან შემოტანილ განცხადებისა, საკომისიო გასამრჯელოს რაოდენობის განსაზღვრა, მოგების განაწილება, საზოგადოების ახალი წევრთა მიღება, გამგეობის წევრთა და რიგით საზოგადოებიდგან გამსვლელთა ნაცვლად კანდიდატების არჩევა.

*** ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ იქ მძიმე ავად შექმნილა უგანათლებულესი თავადი გრიგოლ დადიანი, მეორე შვილი ოდიშის მთავრის ლევან II და უმრწემესი ძმა უკანასკნელის მთავრის დავით I-სა, რუსთა მხედრობის ინფანტერიის გენერალი და სახელმწიფო რჩევის წევრი, ავადმყოფის სანახავად გუშინ წინ ტფილისიდან წავიდა დისწული მისი თ-დი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენის ექსპონენტებისათვის საექსპერტო კამისიას დაუნიშნავს სულ რვაას ოთხმოცი ჯილდო (გარდა ქების ფურცლებისა), მათ შორის: 52 საპატიო დიპლომი, 66—დიდი ოქროს მედალი, 66 ოქროს პატარა მედალი, 140 ვერცხლის დიდი მედალი, 208-ვერცხლის პატარა მედალი და 320—ბრინჯაოს მედალი, ამ ჯილდოების მიმღებთ უპირებენ ფასის გამორთმევას. ამ საშუალებით თურმე მოელიან 18,000 მ.

*** საბაღოსნო სკოლის ეზოში, სადაც გამართული იყო სამეურნეო გამოფენა, დღეს 14 დეკემბერს მოხდება ვაჭრობა სამეურნეო საზოგადოების ხის შენობისა გასაყიდად; თეატრის შენობა დაფასებულია 3000 მან., ბუფეტის სახლი 400 მ. ექსპონატების შესანახი ადგილი 40 მან., საქონლის სადგომი 500 მან. სასტუმრო 150 მან., მერძევეობის პავილიონი 300 მან. და სხვ. ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზედ.

*** გუშინ ქალაქის გამგეობას სასულიერო სემინარიის რექტორმა სტეფანემ წარუდგინა გეგმა იმ ადგილისა ვერაზედ, სადაც უნდა ააშენონ სემინარიისათვის ახალი შენობა; რექტორი სთხოვს გამგეობას. დაამტკიცონ გეგმა, რადგანაც უკვე აპირებენ შეუდგნენ შენობის აგებას.

*** მე-5 პოლიციის ნაწილის მონასტრის ქუჩის [illegible] მცხოვრებლებმა ამ დღეებში ტფილისის გამგეობას სთხოვეს, ჩვენის ხარჯით ჩვენს ქუჩაზე ნიაღვრის სადენი არხი გაგვიკეთეთო.

*** იმპერატრიცა მარიამის ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო აცხადებს, რომ: ამ წლის 1 ნოემბერამდე კასსაში ჰქონდა 9998 მან. 17 კაპ. ნოემბერში შემოსულია 1829 მ. 07 კ. სულ 11,827 მ 4 კ. ნოემბერშივე დაიხარჯა 1724 მ. 90 კ. დარჩა 1 დეკემბრისათვის 10102 მ. 34 კ, ამ ფულიდგან: 1) 421 მ. 16 კ შეტანილია სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში; 2) 5974 მ. და 17 კ. ტფილისის კომერციელ ბანკშია მიმდინარე ანგარიშზე, და 3) 3685 მ. 30 კ. განყოფილების კასსაში ნაღდათ არის 21 მ. 71 კ. სულ 10102 მ. 34 კ.

განყოფილების თვალით ავადმყოფთა სამკურნალოში ამ 1901 წ. ნოემბერში ახალ მოსულნი სნეულნი იყვნენ სულ 384 კაცი, ესენი და წინანდელი სნეულები იყვნენ სამკურნალოში 3625. ოპერიციები გააკეთეს სამკურნალოში 73—ჯერ, მათ შორის 31 მწოლიარე სნეულებს და 42 მომსვლელებს.

*** პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ რადგანაც დესიმონოვის ქუჩაზედ მცხოვრების იაკობ სამადოვის საქონელს ჭირი გაუჩნდა, სხვათა გასაფრთხილებლად 14 ფარანი გამოგვიგზავნეთ ამ ხალხის გარეშემო დასადგმელად, რომ მოერიდნენ და საქონლის ჭირი არ გავრცელდესო.

*** 9 დეკემბერს ყარსის რკინის გზაზედ, მესამე კლასის ვაგონში ვიღაც ბოროტგამზრახველთ ჯერ არაყით თავბრუ დაუხვიათ ვასო ლიპიაშვილი და როცა უკანასკნელს დაუძინია, მოუპრიათ ჯიბე რომელშიაც ჰქონია 150 მ. შეუხსნიათ ქამარ-ხანჯალი, დამბაჩა და მატარებლიდგან გამქრალან.

*** ცნობილი გეოლოგის სპრიდონ ეგ. სიმონოვიჩის ხათესავებმა გადმოგვცეს, რომ ჩვენის გაზეთის № 266-ში დაბეჭდილი ცნობა ხსენებულის მეცნიერის მძიმე ავადმყოფობაზე—შემცდარია. ბ-ნი სიმონოვიჩი სრულიად ჯანმრთელი ბრძანებულა და ამ დღეებში აკაკისთან ერთად თიანეთს წასულა იქაურ ერთი მემამულის მიწვევით ოქროს საძებნელად...

*** იტრიის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლის გ. ნებიერიძის თხოვნისამებრ ვაცხადებთ, რომ ის არ არის ავტორი იმ შენიშვნისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის № 266-ში სა-

---

mberg სიტყვით, 30 გრამი შაქარი საკმარისი თურმე, რომ კუნთებმა 45 წამის შემდეგ მუშაობა ისევ შესძლონ და მოშვებულ-მოდუნებული ნერვები ჯადოქრულად აამოძრავდნენ.

ამას გვასწავლის თეორია და ცდა. ვნახოთ ახლა ხალხი როგორღა ებყრობა ამ ნივთიერებათ.

როგორც „Вѣстн. Общ. Гигieны“-ში დაბეჭდილ დოკტ. ვილონგბი გარდნერის წერილიდგანა სჩანს, არაბები უმეტეს ნაწილად ინდის ხურმით თურმე იკვებებიან, რომელიც 58% შაქარს შეიცავს. „ინდის ხურმით იკვებება იქ ყველა,—კაცი, დედაკაცი, ბავშვი, ცხენი, ვირი, აქლემი, ცხვარი, ქათამი და ძაღლიც,—ამბობს იგი თავისს მოგზაურობაში“. როგორც ამბობენ, სუმატრას კუნძულის მცხოვრებნი რომ თავისის ნავებით შორს სადმე მიდიან საცურავად, თან მხოლოდ ბრინჯი და ლერწმის შაქარი მიაქვთ. ასრევე ოსტ-ინდიაში, შაქრის პლანტაციებში შავ-კანიანები მხოლოდ შაქრით იკვებებიან და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ჯაფა და შრომა აქვთ, მაინც არაფ იმჩნევენ და, წარმოიდგინეთ, პირიქით სუქდებიანო. პარიზში-კი, ამ ბოლოს დროს ცხენებსაც თურმე აჭმევენ, რომ მეტი ჯაფა აიტანონო *). ასრევე დიდი პატივი დაედო შაქარს, მაგალითად, ველოსიპედით მავალთა და ალპის მთებში მოგზაურთა შორისაც.

1897 წ. გერმანიის პარლამენტში განხილულ იქმნა წინადადება, რომ ჯარის-კაცთა შორის შაქრის ხმარებას ყურადღება მიჰქცეოდა და შაქრის ასეთი კეთილი გავლენა ალღუმების დროს ეცადნათ. 1898 წ. მეცში მომხდარ ალღუმების დროს, მართლაც, გამოარჩიეს თვითო როტიდგან 20—20 კაცი და საკუთრად დღეში თვითოს 100 გრამი შაქარი დაუნიშნეს. ცდამ დაამტკიცა, რომ ჯარის კაცნი, რომლებსაც შაქარი ეძლეოდათ, თავს მშვენივრადა ჰგრძნობდენ, არ იღლებოდნენ; წონაში მოიმატეს, არც ერთი მათგანი ავად არ გამხდარა. მაჯა და სუნთქვა მშვენიერი ჰქონდათ. ერთი ან ორი ნაჭერი შაქარი დაღალულობასაც და წყურვილსაც მაშინვე თურმე უკარგავდა და სხვ. შედეგად ამას მოჰყვა ის, რომ გერმანიის მხედრობაში ჯარის-კაცებს ამ ჟამად დღიურად 60 გრამამდე შაქარს აძლევენ, საფრანგეთში მშვიდობიანობის დროს ჯარის კაცს დღეში 21 გრამი შაქარი ეძლევა, ომიანობისას—31 გრ., ინგლისელს —37 გრ. დღეში.

ამ რიგად ქიმიური და ფიზიოლოგიური თვისებანი შაქრისა, თეორია და ცდა, ხალხის ალღო და სახელმწიფოთა დაკვირვებანი, ყველანი იმას ამტკიცებენ, რომ შაქარი ადამიანის სხეულის გამძლეობისათვის დიდად სასარგებლოა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისს გავრცელებას მაინც ვერა ეშველა-რა, მეტადრე ისეთს ქვეყნებში, როგორიც ჩვენი დალოცვილი სამშობლოა: აქ ხალხი ისევ ძველებურად წამლადა ხმარობს და ისაც წელიწადში სულ რამდენჯერმე, ბევრმაკი შაქრის გემო სრულიად არ იცის, ვგონებთ.

ეს არის მოკლედ ის ცნობები, რომლებიც დოკტორის ვილონგბი გარდნერის ფრიად საყურადღებო წერილშია მოთავსებული, მაგრამ ურიგო არ იქმნება უთუოდ რამდენისამე სიტყვით იმასაც შევეხოთ, თუ შაქარი საზოგადოდ რისგან მზადდება ამ ჟამად, რა დროიდგან ისწავლა კაცმა მისი კეთება, სად და რამდენად ბევრი იხარჯება ან მზადდება, რომელს სახელმწიფოში რამდენი მოდის კაცის თავზედ და რას ჰფიქრობს მეცნიერება, შეიძლება თუ არა შაქარიც ისრევე გაიაფოს, როგორც პური და სხ., თუ არა.

უმთავრესი საშუალება შაქრის კეთებისა დღეს შაქრის ლერწამი და ჭარხალია. 1900 წ. სულ მოუმზადებიათ 7.933,000 ტონი (ტონი 60 ფუთია) შაქარი, აქედგან ჭარხლისა 5.523,000 ტონი, შაქრის ლერწმისა 2.410,000 ტონი.

ლერწმის შაქრის კეთება ძველად ჩინეთ-ინდოეთის ნახევარ კუნძულზედ თურმე სცოდნიათ. აქედგან შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის ერთს სარდალს გადუტანია ინდოეთში, საიდგანაც სპარსეთსა, ეგვიპტესა და ევროპაში ნელ-ნელა გავრცელებულა. სულ წინად შაქრის მაგივრად თაფლსა ხმარობდნენ. საშუალო საუკუნოებში შაქრის უმთავრეს სავაჭრო ადგილად ვენეცია ყოფილა ცნობილი. ინგლისში პირველად შაქრის ხმარება XIII საუკუნის დამლევს შემოუღიათ.

ჭარხლის შაქრის კეთება შედარებით ახალი ამბავია. პირველად იგი გერმანელმა ქიმიკოსმა მარგრაფმა მოამზადა 1747 წელს. საფრანგეთი შაქრის კეთებას ნაპოლეონმა მიაჩვია. მაგრამ შაქრის ხმარება მე-XIX საუკუნემდე თითქმის ყველგან იშვიათი იყო, ათასში ერთი ფეოდალი და მემამულე, ან მდიდარი თუ ხმარობდა, თორემ უმეტესობას ხელი არ მიუწვდებოდა. დიდად გავრცელდა იგი წარსულის საუკუნის უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში.

რადგანაც ყოველგვარი ნივთიერი წარმატება იმავე დროს დამამტკიცებელია მეტის კულტურისა და პროგრესისა, ურიგო არ იქნება ამისათვის მოვიყვანოთ ცხრილი იმისა, თუ რომელს სახელმწიფოში

---

*) ლონდონში ლორებს ასუქებენ.

ტრიის სკოლაში მასწავლებლის დანიშვნის შესახებ.

⁂ 29 ნოემბერს დაჭერილ იქმნენ პოლიციისაგან ლუდხანის პატრონი ივანე წაუროვი და მისი მოსამსახურე არტემ გულიევი, რომელთაც ს. გლდანის გლეხს გ. ი. ფეიქრიშვილს 230 მან. ამოაცალეს ჯიბიდგან, როდესაც უკანასკნელი ძლიან დათვრა მათ ლუდხანის და დაიძინა იქვე.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც იქმნა, ეღირსნენ ინგლისელნი ლორდ როზბერის სიტყვას. ეს რამდენი ხანია, როზბერი პოლიტიკას გადაუდგა, ამიტომ ხმის ამოღებამ და ხელ-ახლა პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობის მიღებამ ყველანი აალაპარაკა. ამას გარდა ბევრი დღევანდელ გაჭირვების ხსნასა და შველას როზბერისაგან მოელოდა. იმისგან მოელოდა დანაწილებულ და დაქვეითებულ სალიბერალო დასის შეერთებასა და გაერთიანებას, იგი უნდა გამხდარიყო სოლისბიურის მოადგილეთ და იმას უნდა ეშველა რამე სამხრეთ-აფრიკის საქმეებისათვის. იმედი ჰქონდათ, როზბერი მხნე სიტყვას წარმოსთქვამდა, ახალ საშუალებებს გამოსძებნიდა ლიბერალთა შესაერთებლად და აწეწილ-დაწეწილ საქმეებს უშველიდა. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. იმისმა სიტყვამ ვერც ლიბერალნი დააკმაყოფილა და ვერც კონსერვატორნი. კონსერვატორნი და ლიბერალნი, ორივენი ერთს ამბობენ: როზბერი ვერავის გულს ვერ მოიგებს, ვერავის შეაერთებს და ვერავითარ ახალ ძლიერ დასს ვერ შეადგენსო, საყურადღებოა როზბერის სიტყვაში ის, რომ იგი გლადსტონის ტრადიციებს გადაუდგა, ირლანდიელებს ზურგი შეაქცია და იმპერიალიზმს დაუწყო გუნდრუკის კმევა. როგორცა სჩანს, როზბერი იმპერიალისტებისაგან აპირებს, ან აპირებდა თავისს დასის შედგენას. მიუხედავათ ამისა როზბერიმ მაინც ბევრი რამ საყურადღებო სთქვა დღევანდელ მთავრობის, სამხრეთ-აფრიკის ომისა და სხვა საქმეთა შესახებ. „შეიძლებოდა ომი თავიდგან აგვეცდინა, სთქვა როზბერიმ. საჭირო იყო, მთავრობა სხვა რიგად მოჰპყრობოდა კრიუგერს, შეესწავლა მას საქმის ვითარება, ჯემსონის თავ დასხმის მიზეზები და დაეკმაყოფილებინა ტრანსვალიო! როზბერი იმ აზრისაა, რომ ბურებს სამოქალაქო უფლებანი უნდა აღუდგინოთ და კაპის ახალშენის აჯანყებულთ დანაშაული ეპატიოთ.

როზბერის პოლიტიკაში ჩარევა ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახდენს. კონსერვატორები უწინდელებრ სოლისბიურს არ უღალატებენ, ხოლო ლიბერალები — კემპბელ-ბანნერმანს. შეიძლება პირველთ ლიბერალ იმპერიალისტები ჩამოჰშორდნენ, ხოლო მეორეთ ლიბერალ-კონსერვატორები. ამათგან-კი როზბერი ვერც ძლიერს და ვერც გავლენიან დასს ვერ შეადგენს.

— „Daily News"-ში დაიბეჭდა ინგლისის დამოუკიდებელ ეკკლესიათა მღვდლების მანიფესტი. ამ მანიფესტზედ 5,270 მღვდელს უწერია ხელი. მღვდლები ზავის ჩამოგდებას თხოულობენ; ამას გარდა: 1) გარანტიას ომის განახლების წინააღმდეგ, 2) ავტონომიას ბურებისათვის, 3) ამნისტიას კაპის ახალშენის მეამბოხეთათვის და 4) ბურების დაჯილდოვებას დაქცეულ ფერმებისა და სახლებისათვის.

სამხრეთ-აფრიკის ომი. კარგად ცნობილ სესილ როდსს ახალი პროექტი გამოუგონია სამხრეთ-აფრიკის ომის დასამთავრებლად და იქ მშვიდობიანობის დასამყარებლად. როდსის აზრით, აფრიკაში დასასახლებლად უნდა გაიგზავნოს 2000 ოჯახი ინგლისელი. თვითოს უნდა მიეცეს „მოწყობისათვის" 40000 მანეთი, სულ ამ რიგად ხარჯი 80 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს დასახლებული ინგლისელნი დიდ დახმარებას გაუწევენ ჯარს და შემდეგშიაც თავიდგან ავიცდენთ ომსაო, ამბობს როდსი.

— როგორც „Standard„-ს ატყობინებენ, ამას წინად ბურების წინამძღოლებს გადაუწყვეტიათ, შესცვალონ ეხლანდელი ტაქტიკა ბრძოლისა და ახალს კვალს დაადგნენ. როგორც ვუწყით, დღეს ბურები პატარ-პატარ რაზმებად არიან დაყოფილნი. წინაამძღოლებს საზარალოდ უცვნიათ ეს, რადგანაც ინგლისელნი ადვილად სძლევენ ხოლმე პაწაწკინა რაზმებს. გადაუწყვეტიათ, რაზმებისაგან სამი კორპუსი შეადგინონ ბოტასი, დელარესი და დევეტის უფროსობით.

— თუ ინგლისელებს დაუჯერებთ, მოღალატეთა რიცხვი ბურებს შორის მეტად დიდია, იმათის სიტყვით, ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ბურმა ამხანაკებს არ უღალატოს და ინგლისელებს არ დაუჭიროს მხარე; ამ მოღალატეთაგან უკვე ინგლისელნი თურმე რაზმებს ადგენენ შეიძლებაო, სწერს ერთი გაზეთი, ბურებმა ამ შემთხვევაშიაც ხრიკი იხმარონ და ყინულზედ გააცურონ მამაცი ინგლისელნი: ერთ მშვენიერ დღეს ადგნენ და შეიარაღებულებმა ჲ ცხენებით დაჯილდოვებულებმა ისევ ბურებს გვერდით ამოჰყონ თავიო.

გერმანია. საბაჟო ტარიფის კანონ-პროექტი უკვე გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც პალატას მხოლოდ გაზაფხულზედ დაუბრუნებს, კომისიაში 28 წევრია. ეხლა უკვე გამოირკვა, რომ პარლამენტში მომხრე უფრო ბევრია, ვიდრე მოწინააღმდეგე, რიხტერის გამოანგარიშებით, 397 დეპუტატისაგან მხოლოდ 117-ია პროექტის წინააღმდეგი, დანარჩენთაგან ზოგი მომხრეა ტარიფისა, ზოგი უფრო მეტ ბაჟსაც თხოულობს პურზედ, ვიდრე პროექტშია. თუ ოპოზიციამ განსაკუთრებულ საშუალებას არ მიჰმართა, მაგალითად, ობსტრუქციას, პარლამენტი უეჭველად შეიწყნარებს პროექტს და კანონად გადააქცევს.

ოსმალეთი. როგორც ვენურ გაზეთებს კონსტანტინეპოლიდგან ატყობინებენ, საფრანგეთის ელჩს მეორედ მოსვლია ლაპარაკი ოსმალეთთან. ჯერ პირველი შეტაკებაც არ დასრულებულა ხეირიანად და კონსტანი-კი დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტას ემუქრება ოსმალეთს. მიზეზი ოსმალეთის ჯარების მისვლა მოსვლაა თურმე ტრიპოლიტანში, ტუნისის საზღვრის მახლობლად. ლაპარაკი აღიძრა: ბელმა ტუნის (საფრანგეთის ახალშენია) ეკუთვნის თუ ოსმალეთს?

— ახალ დიდ ვეზირს საიდ-ფაშას შეუდგენია პროექტი სხვა-და-სხვა რეფორმისა და წარუდგენია კიდეც იგი სულთანისთვის. სხვათა-შორის საიდ-ფაშა თხოულობს მინისტრებისა და კარის-კაცთა ჯამაგირების შემცირებას და ჯაშუშობის გაუქმებას. თხოულობს აგრეთვე, უფლება მიეცეს სამინისტროების შედგენისა და მინისტრების დათხოვნისა. თუ სულთანი არ მიიღებს ამ რეფორმებს, საიდ-ფაშას აზრადა აქვს სამსახურიდგან გადადგეს.

რუსეთი

სრულიად რუსეთის ბეითალთა პირველს კრებაზედ პეტერბურგში, სხვათა შორის, მოხსენება იქნება წაკითხული იმის შესახებ, რომ ყველა საბეითალო საზოგადოებებთან საამხანაგო სასამართლო იქმნეს დაწესებული.

— მომავალს წელს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს განზრახვა თურმე აქვს, დანიიდგან რამდენიმე მცოდნე მეურნე გამოიწეროს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ ერბოს კეთება და მისი ტეხნიკური წარმოება გააცნოს.

სასამართლოს მატიანე.

ქალაქის გამგეობის გასამართლება.

(გაგრძელება

ტფილისის *) სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის წიგნების განხილვით აღმოჩნდა, რომ კარგა ხანი, 1897 წლის შუა რიცხვებამდე, თითქმის არ ინიშნებოდა გამგეობის დავთრებში, ვის რა წიგნი ეძლეოდა და რა გარდასახადებისა. მართალია, მოწ. გასპაროვისამ განაცხადა, რომ იგი 1897 წ. განსაკუთრებით ასრულებდა თანამდებობას აგენტებზე წიგნების დარიგებისა და ხელ-წერილის ჩამორთმევისას, მაგრამ ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს და აქ არა სჩანს ინიციატივა საქმის მეთაურთა. მარკის წიგნების საქმე ისეთნაირად არის ნაწარმოები, რომ ვერავითარს გამორკვეულს კაცი იქიდგან ვერ გამოიტანს, თუ რომელი წიგნი ვის ეძლეოდა და ან როდის რა წიგნი ვისგან მიიღეს და სხვ. რადგანაც ასეთი არეული წესი იყო მარკების წიგნების საწარმოებლად, რაღა თქმა უნდა, რომ გადახდევინებაც ასევე უთაური იქნებოდა და, ვინ იცის, პოლიციის აგენტები ქალაქის ქონებას როგორ ეკიდებოდნენ. ასეთ უკანტროლობის დროს როგორღა აწარმოებდნენ თვით აგენტები წიგნებს? ზოგიერთს სასწორეზე გარდასახადის დროს კვიტანციებს არ იძლეოდნენ. მოწმე ციხისთაშვილმა განაცხადა, რომ ხანდისხან მათ საკვიტანციო წიგნებს არ აძლევდნენ და, როცა ჰქონდათ, მაშინაც თავის სურვილისამებრ გადასცემდნენ ხოლმე პოლიციის აგენტებს. განა ასეთ პირობებში გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ გარდახდევინებული ფული ქალაქის კასას აღწევდნენ სრულად?

დაწვრილებით არ შევჩერდები ამ გარდასახადების საქმის უწესოდ დაყენებაზედ, რადგანაც ეს საკმაოდ აღნიშნულია საბრალმდებლო ოქმში. რაც შეეხება აგენტებს, კონტროლს, უნდა აღვნიშნო, რომ ეს საქმე ისე არა ყოფილა დაყენებული, როგორც აქ ქალაქის გამგეობის „ბრწყინვალე დროის" დამახასიათებელმა მოწმეებმა აღნიშნეს. მაგ. ჩვენ გვესმოდა, რომ თ-დი არღუთინსკი-დოლგორუკი თითქმის კვირაში ოთხჯერ ამოწმებდა ხოლმე აგენტების მოქ-

---

*) გაგრძელება ბრალმდებლის სიტყვისა იხ. „ივერია" № 270

კაცის თავზედ შაქარი რამდენი მოდის წელიწადში:

ინგლისში	86,15	გირ. შაქ.
შეერთ. შტატებ.	65,50	„ „
დანიაში	43,60	„ „
შვეიცარიაში	42,90	„ „
საფრანგეთში	28,14	„ „
გერმანიაში	27,14	„ „
ჰოლლანდიაში	25,90	„ „
ბელგიაში	22,00	„ „
ავსტრიაში	16,80	„ „
რუსეთში	11,25	„ „
იტალ. და ისპან.	7,00	„ „

როგორცა ჰხედავთ, ბ-ნო, პირველი ადგილი ინგლისელებს უჭირავთ ამ მხრივ, ხოლო მეორე— ამერიკელებს, რომლებიც, სხვებთან შედარებით, მართლაც იშვიათის მხნეობითა და ჯანსაღობით არიან ცნობილნი. თუ რომ მხედველობაში ახლა იმასაც ვიქონიებთ, რომ წარსულის საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ინგლის-საქონელთა მოდგმა მართლაც განსაცვიფრებლად გამრავლდა და ამას, სხვა მიზეზთა შორის, აღნიშნულს გარემოებასაც ამოვუყენებთ გვერდში, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ შაქრის ხმარების რაოდენობის მატებას გამრავლებაზედ სწორედ გავლენა ექმნებოდაო, დასძენს ვილლონგბი გარდნერი და მოჰყავს მაგალითი აგრეთვე ნემცებისა და ბურებისა, რომელთაც ლუდი და შაქარი ძლიერ უყვართ.

მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, უმეტესობას ხალხისას, სიძვირისა გამო, დღეს-დღეობით შაქრისადმი ხელი არ მიუწვდება, ყოველ-დღიურ საზრდოდ ვერ გაუხდია; ბევრს შემთხვევაში ისევ მავნე (მაგალ. მაგარ სასმელების) საშუალების ხმარება უხდება და ეს ყოვლად სასარგებლო ნივთიერებაკი რჩეულთა პრივილეგიათ გადაქცეულა. სოციალურს პირობებს გზა გადუღობნიათ იმისათვის, რაც ადამიანის ბუნებას ინსტიქტიურად შეუყვარებია და შეუთვისებია ბევრგან.

მეცნიერება ამ შემთხვევაში კაცობრიობას ეხმარება მუდამ და სცდილობს გაუადვილოს და გაუიაფოს ბევრი ისეთი მასაზრდოებელი ნივთიერება, რომელიც ან სიძვირით, ან სიმცირით მხოლოდ ზოგიერთთა საკუთრებათ გამხდარა. შაქარიც ასეთს ნივთიერებას შეადგენდა დღემდის, მაგრამ არ იქმნება დიდი ხანი ეუწყა ქვეყანას, რომ მაგისტრს იუ. ვალტერს აღმოუჩენია საშუალება შაქრის ხელოვნურად მომზადებისა.

ბ-ნის ვალტერის საშუალება შაქრის მომზადებისა სულ უბრალოა. საჭიროა ამისათვის მხოლოდ ჭურჭელი, რომელიც თხელი კანით ორ ნახევრად გაიყოფება და მასალა, რომლისაგანაც შაქარი შესდგება: ნახშირ-მჟავა რომლისაც გნებავთ ნივთიერებისა (იხ. „ივერია" №№ 194. 205) და წყალი.

თხელი კანით გაყოფილ ჭურჭლის ქვედა ნაწილი საჭირო ზომამდე გაციებული უნდა იყოს და გაატარონ ამ ნაწილში ნახშირ-მჟავა, რომელსაც სხვა-და სხვა გვარი ნახშირ-მჟავიანი ლითონები და ნივთიერებანი იძლევიან წვის დროს; ჭურჭლის მეორე, ზედა ნახევარში გაატარონ წყლის ორთქლი, რომელიც იმავე ნახშირითა თბება. კონტაქტურ ელექტრონისა ძალით, რომელიც ამ დროს იბადება, წყალი თავისს პირვანდელ შემადგენელ ნაწილებათ: წყალმბადადა და მჟავბადად დაიხვეწება და განსაკუთრებულის მოწყობილობით მჟავბადი მაშინვე გარედ გამოჰყავთ, ხოლო წყალმბადი საგანგებო ფირფიტით (пластинка) ჭურჭლის ქვედა ნაწილში გრიავდება, სადაც ნახშირის სიმჟავეზედ ჰმოქმედებს.

ახლა მხოლოდ ნახშირ-მჟავას და წყალმბადის რაოდენობაზეა ცალკ-ცალკე დამოკიდებული, რა გვარის შეერთებით რა ნივთიერებას მოგვცემს აპარატი.

აი, რეცეპტიც ამ გვარად მიღებულ ნივთიერებათა: თუ რომ 2 ნაწილი ნახშირის სიმჟავე იქნა ჲ 2 ნაწილი წყალმბადი—მივიღებთ მჟაუნას სიმჟავეს (щавелевую кислоту), თუ 4 ნაწილი ნახშირის სიმჟავისა და 10 წყალმბადი—ღვინის ხაშურიანს სიმჟავეს (виннокаменную к.), თუ 6 ნაწ. ნახშ. სიმჟ. და 18 ნაწ. წყალმბადი—ლიმონის სიმჟავეს (лимонную к.), თუ 6 ნაწ. ნახშ. სიმჟავისა და 24 ნაწ. წყალმბადი —ყურძნის შაქარს, ხოლო თუ 12 ნაწ. ნახშირის სიმჟავისა და 48 წყალმბადი — ჩვეულებრივს ლერწმისა ან ჭარხლის შაქარს, რომელიც ასე საჭიროა და მარგებელია სხეულისათვის.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი გამარჯვებაა. მოგეხსენებათ, მომეტებულ ნაწილად ნახშირ-წყლიან ნივთიერებათა უმეტესობას ჩვენი სხეული სახამებლის სახით მიიღებს ხოლმე. ამისათვის საჭიროა ახლა ქიმიამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და ახლო მომავალში ხელოვნურად მოამზადოს სახამებელი რომელიც ცილასთან ერთად უმთავრეს მასაზრდოებელ ნივთიერებად ითვლება. ჯერ-ჯერობით-კი ვიკმაროთ ის, რომ მალე შაქარს ხელოვნურად მოგვიმზადებენ და ხალხს პურის ფასად მიაწვდიან.

Morosus.

ას, ხოლო თვით არგუთინსკი გამომძიებელთან განაცხადა, ომ იგი მხოლოდ კვირაობით მიდიოდა ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში აგენტების წესიერ მოქმედების შესამოწმებლად. არ ვიცით ვის დაუჯეროთ? მოწმეთა ჩვენება ერთმანეთს ეწინააღმდეგება: ერთნი ამბობენ, კვირაში ყოველ დღე ამოწმებდა თ-დი არგუთინსკიო, ან კი საიდგან უნდა ჰქონოდა დრო, როცა მეორე რიგის მოწმეთა ჩვენებით იგი დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 4 საათამდე გამგეობაში მუშაობდა, საღამოს შინ მოხსენებებს ადგენდა და მრავალ კომისიების სხდომებზე მონაწილეობას იღებდა. ბ-ნმა ჯაბადარმა განაცხადა, რომ მუდმივ თვალ-ყურის მდევნელად აგენტების მოქმედებისა ჰყავდათ ფურცელაძე და განა შესაძლებელია ფურცელაძეს რაიმე ნაყოფიერი მოქმედება ამ მხრით, როდესაც მას ლობიოს მარცვლების საშუალებით შეუძლიან მხოლოდ თვლა? ვერის ხიდი 1896 წელს აძლევდა ქალაქს ხარჯს გარდა 9000 მან., მაშინ, როდესაც ამ წელს გამგეობას მოიჯარადრემ წლიურად შეაძლია საიჯარო ფულად 11.4008 მან. და ერთი წლის შემდეგ კი 17000 მანეთი გაუხადაო. სასწორების გარდასახადის იჯარაში ქალაქმა აღნიშნულ დროს 6000 მან. აიღო, ხოლო ესევე იჯარა 1899 წ. 9000 მანეთამდე, ავიდა. ეს ფაქტები გვიმტკიცებენ დაუდევრობას გამგეობის იმ წევრებისას, რომელთაც ეს საქმე ებარათ და რომელთაც არ ჰქონდათ შეგნებული ქალაქის ინტერესები ისე, როგორც ეს ნამდვილს პატრონს ქონებისას შეეფერება. ქალაქის უძრავ მამულების შემოსავალი 97 წელს 164,000 მან. 1898 წ. 103 ათას მანეთამდე ავიდა. განა ეს არის ის ბრწყინვალე ეპოქა, რომელიც ახე შეფერებით აღნიშნა, როდესაც ქალაქის ინტერესებს იცავდნენ ეხლანდელნი ბრალდებულნი?

გამგეობას არა ჰქონდა სრულად შედგენილი საინვენტარო წიგნი, რომელთანაც ახლო კავშირი აქვს ქალაქის გეგმის შედგენასაც; თუ არ მათი დაუდევრობა, მაშ რა არის, რომ 1895 წელს აღძრული საკითხი ქალაქის გეგმის შესახებ გამგეობამ საბჭოს განსა-ხილველად არ წარუდგინა, რის გამოც ეს საკითხი დღემდე მივიწყებულ-მიგდებულია. ყოვლად უვარგისობა ქალაქის საინვენტარო წიგნისა მიწის მზომელმა ლარიონოვმაც შეამოწმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო საინვენტარო წიგნებში რისიმე გარჩევა. დასახასიათებლად მოვიყვან ორს მაგალითს იმისას, თუ რანაირად აწარმოებდნენ საინვენტარო წიგნს. პოლიციის მე-6 ნაწილში ვინმე გრიგოლ მამულოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ერთი ცარიელი მიწის ნაჭერი ზომით 60 საჟენი საიჯაროდ; ნახეს წიგნში და აღმოჩნდა, რომ ეს ნაჭერი სრულებით არ იყო შეტანილი. მეორე: ქ-ნ სირავლიოვისამ მოინდომა საიჯარო მიწაზე თავის სახლის გაყიდვა და ამაზე აცნობა ქალაქის გამგეობას: სირავლიოვისას ყური არ უგდეს, ერთის წლის შემდეგ მან მამული გაჰყიდა და დღეს ამ ადგილით სარგებლობს სხვა, როგორც საკუთრებით. ვინ იცის, გამგეობა დაიბრუნებს თუ არა დაკარგულს ადგილს! ლარიონოვმა გამგეობას წერილობით მიმართა და შეატყობინა, ქალაქის ქონება იფლანგება საინვენტარო წიგნების უქონლობით და საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, მაგრამ მას ყური არავინ უგდო.

ასევე უთავბოლობას ვხედავთ ქალაქის მიწების იჯარით გაცემის საქმეში. ნავთლუღში ქალაქს ორი დიდი ადგილი აქვს, ერთი 194 და მეორე 286 დესიატინა. პირველი ნაჭერი, უვარგისი, იჯარით გაცემულია, ხოლო მეორე, ბევრად უკეთესი და დიდი, იალაღად არის გაშვებული და, ვისაც უნდა, სარგებლობს. გამგეობას მოაგონა საბჭოს საფინანსო კომისიამ, შეედგინა მოხსენება ავლაბრის მიწების (2400 დეს.) შესახებ, ნაჭრებად დაეყო და იჯარით გაეცა, მაგრამ დღესაც ისევ მიტოვებულ-მიგდებულია ქალაქის ეს შემოსავლიანი ადგილი. ქალაქმა არ იზრუნა ნავთის ქალის იჯარით გაცემისათვის, არ მოიწვია, არ დააინტერესა მსურველნი, რომ გამოეკვლიათ ეს ადგილი და შესდგომოდნენ ნავთის წარმოებას.

საიჯარო მამულების სიაც ისე უწესოდ არის შედგენილი, რომ კაცი ვერ გაიგებს ვერასფერს, რადგანაც ერთი მოიჯარადრე ორჯელ ხშირადაა ჩაწერილი, მაშინ როდესაც მას ერთი ნაჭერი მიწის მეტი არ აქვს აღებული. აგრეთვე მეტად ცუდადაა დაყენებული საიჯარო გარდასახადების საქმე. მაგ. 1897 წელს ამ გარდასახადის მცხოვრებლებზე დარჩენილი ფული 8000 მ. 1898 წელს 13000 მანეთამდე ავიდა. გამგეობის წევრნი დიდ მოხსენებების შედგენაში იყვნენ გართულნი და წვრილმანს ივიწყებდნენ. შეიძლება ამ მოხსენებებს რაიმე ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდეს, აკმაყოფილებდეს მათ თავმოყვარეობას, მაგრამ ქალაქის მეურნეობისათვის ეს საჭირო არ არის, იმას ნამდვილი ცოცხალი პატრონი უნდა, რომელიც დარაჯად უნდა ედგეს იმის ინტერესებს. დასაფასებელ გარდასახადის დარჩენილი ფულის შესაკრებადაც ნაკლებ ღონისძიებას ხმარობდა ქალაქის გამგეობა, ასე რომ ამ ფულების გადასახდევინებლად ტფილისის პოლიცმეისტრისათვის მხოლოდ 60 ჯერ მიუმართავთ. მთელი ჯამი ამ დარჩენილ გარდასახადისა 200,000 მან. უდრიდა.

გადავიდეთ ეხლა საამშენებლო განყოფილების საქმეებზე. აქაც იგივე დაუდევრობა, იგივე დიდი მოხსენებების შედგენა, როგორც მოწმებმა განაცხადეს, და ნამდვილის სავალდებულო საქმეების მოტევება. თუ როგორა ჰქონდა დაყენებული ამ განყოფილების გამგეს საქმის წარმოება, სჩანს საქმის მწარმოებლის გულიევის განცხადებიდგან, რომელმაც განაცხადა, რომ მე, ჯანმრთელი კაცი, აწეწილ-დაწეწილ საქმეების ვითარებით დაავადმყოფდიო. გადამდებ სენით საავადმყოფოს შენობის აგება მოხდა უგეგმოდ, უსრულო და წინდაწინვე ცუდად შედგენილ ხარჯთ აღრიცხვით, ასე რომ საქმის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დასჭირდათ. ამ საავადმყოფოს გაკეთება აღნიშნულ განყოფილების წევრის ენერგიას-კი არ ეკუთვნის, არამედ 1898 საქმის ვითარებისგან იყო გამოწვეული, რადგანაც სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობანი ქალაქს მოედვა და საჭირო იყო ზომების მიღება.

ქალაქის ქუჩების შეკეთების საქმეც ცუდად იყო დაყენებული. როგორც მოწმების ჩვენებით გამოირკვა, გამგეობა წერილობითი პირობით-კი არ ეკვროდა მოიჯარადრეთ, არამედ სიტყვიერად ურიგდებოდა.

ბრალმდებლის ამხანაგმა კიდევ დიდხანს ილაპარაკა. შეეხო აგრეთვე იმას, რომ გუბერნატორის მოთხოვნილებაზე გამგეობამ შემცდარი ცნობა წარადგინა ქალაქის შემოსავლის შესახებ, დაწვრილებით შეეხო საამშენებლო განყოფილების ზოგიერთ საქმეებს და გადავიდა გამგეობის იმ განყოფილებაზე, სადაც მოთავსებულია საბუღალტერო წიგნების წარმოება. კარგა ხანს ილაპარაკა მათის ურიგოდ წარმოების შესახებ და, სხვათა შორის, აღნიშნა უსისტემობა და უკანონობა საბუღალტერიო წიგნების წარმოებისა, რაც უმთავრესად გამოიხატა საბუთის ქაღალდებში ცნობების წაშლა-წაფხეკით. თითქმის სამი საათის ლაპარაკის შემდეგ ბრალმდებელმა დაამთავრა: ყოველივე ჩემ მიერ მოხსენებული გარემოებანი და მთელი საქმის მიმდინარეობა, ბ-ნნო მოსამართლენო, ნამდვილად გვიმტკიცებს სიმართლეს ბრალდებულთა შესახებ საბრალმდებლო ოქმისას. ვითხოვ დასჯილ იქმნენ ბრალდებულნი იქ აღნიშნულ სასჯელთა დებულების მუხლების თანახმადაო.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

„(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

12 დეკემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდმა მთავრებმა და დიდმა მთავრინებმა 12 დეკემბერს მხატვრობის წამქეზებელ საიმპერატორო საზოგადოების დარბაზებში გამართული სამხატვრო ძვირფას ხელოვნებათა გამოფენა ინახულეს.

ვაშინგტონი. როგორც ბუენოს-აირესში მყოფ ამერიკელ ელჩის დეპეშიდგან სჩანს, მტკიცდება ის, რომ არგენტინის რესპუბლიკას გარდაუწყვეტია ჩილის რესპუბლიკის შესახებ თავისს მოთხოვნილებათ ფეხი ისე აღარ დააჭიროს; პირ-იქით თანახმაა თურმე საკამათო საგანი კომისსიას გარდასცეს განსახილველად, რომელსაც საზღვრების გამორკვევა აქვს მინდობილი.

სოფია. 79 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 76-ისა საერო კრებამ სესხის შესახებ წარმოდგენილი წინადადება უარ-ჰყო.

ვარშავა. გერმანიის წინააღმდეგ აგიტაცია კიდევ არ შეწყვეტილა. ამის გამო ყავახანების პატრონებმა გერმანელ არტისტთა უმეტესობას ადგილებზედ უარი განუცხადეს და მათ მაგიერ ფრანგები მოიწვიეს.

კიევი. 10 დეკემბერს, 5 საათზედ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ კიევის სამხედრო სასწავლებელი ინახულა. საღამოზედ ქალაქის თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნა გამართული, რომელსაც დიდი მთავარი დაესწრო.

ეკატერინოსლავი. ერთი კვირაა, განუწყვეტელი წვიმები მოდის.

მოსკოვი. 12 დეკემბერს, ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით გაიხსნა ორი სახალხო სახლი, რომელიც სახალხო სიფხიზლის საპზრუნველომ დააარსა. ორსავე სახლსა აქვს თავისი სასადილო, სამკითხველო და წიგნთ-საცავი.

13 დეკემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა შტანდარტი მე-55 დრაგუნთა ფინლიანდიის რაზმს, გენერალი გროდეკოვი იუწყება, რომ 28 ნოემბერს, სოფ. ტუხუმის მახლობლად ბაიკალის იქითა მხრის საარტილერო დივიზიონის უფროსს პოლკოვნიკს ირმანს 2000 ხუნხუზი განუდევნია, რომელთაც წინამძღოლად ვანლოუხუ ჰყოლიათ. 26 ნოემბერს პოლკოვნიკის ირმანის რაზმი ბოდუნედგან გავიდა, ამ დროს ამბავი მოვიდა, რომ ვანლოუხუს ტუხუმოდგან ყველაფერი ძვირფასი ქონება წაეღო და თვითონ გამაგრებულიყო. ირმანმა დასტოვა ქვეითი ჯარი, წაიყვანა თან ერთი ცხენოსანი რაზმი, ცხენოსანი მონადირენი 18 რაზმისა და ორის ზარბაზნით ტუხუმოს მივიდა და ვანლოუხუზედ იერიში მიიტანა. მტერი საშინელი სროლით შეეგება ჩვენებს, მაგრამ მალე ჩვენი ზუბებითა და ხმლებით მიესია და მტერი უკუ აქცია. სიმაგრე დაქცეულ იქმნა. მტერი მალე მთლად გაიქცა. დიდი ზარალი მოუვიდათ: წავართვით დიდ-ძალი იარაღი, საქონელი და ცხვრები. ჩვენ დაგვიჭირეს სამი ყაზახი-არტილერისტი, ერთი დრაგუნთა რაზმისა და ოთხიც ცხენოსანი მონადირე. ვანლოუხუ მონგოლიაში გაიქცა. ომის დროს 20 გრადუსამდე ჰყინავდა.

პარიჟი. ოსმალეთის საელჩო აცხადებს, რომ გუშინ გამოცხადებული ანგარიში ოსმალეთის ელჩთან ბაასის შესახებ გამოგონილია.

ლონდონი. რობერტსი აცხადებს, რომ ამ ბოლოს დროს ომის საქმეში მომხდარ ცვლილებისა გამო საჭიროა ისე გაიწვრთნას ჯარი, რომ თავისი სამხედრო თანამდებობა კარგად შეასრულონ. ის, ვინც ბანაკში მხოლოდ ერთს წელწადსა ყოფილა, თავისუფალ მეომართა შორის აღარ უნდა იყოს მიღებული; სჯობს ისევ მცირე ჯარი იყოს და კარგად გაწვრთნილიო.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

განცხადებანი

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.
იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8-მდე. სუდებნაია № 17.
(წლ.)

ქ. ქობულეთში
—
ისყიდება აგარაკი თავად მაჭუტაძისეული, რომელიც ეხლა ეკუთვნის კნეინა მარიამ ალექსანდრე მაჭუტაძის ასულს წერეთლისას. პირობები ქუთაისში მარიამ მომფორიასთან.
(3—ნ.—3)



როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(23—б.—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Декабря 1901 г.
სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118
დროებითი რედაქტორი **ალ. ხარაჯიშვილი.**
გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე,**